# ჩანგი

№ 33

ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ სადამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ შენიშვნებს განცხადებების შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილები ჟურნალისთვის უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელად საჭიროა ... აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань“, Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
| --- | --- |
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.

---

გაიხსნა ახალი

თფილისის

### კერძო საავადმყოფო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. ზ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1 ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიხამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—34

---

ამა წლის 20 აგვისტოს დანიშნულია ჩოხატაურის მეეტლეთა ყოფილ ამხანაგობის

### კრება

ვთხოვთ გამოცხადდენ ყველა „პაიშნიკები“ და ნაბარის ანგარიში. მანამ კი ფულისთვის ნუ მიმართავენ ჩვენს მიერ არჩეულ კასირს ალექსი სიხარულიძეს. (2—2)

ვლადიმერ თავბერიძე, გიგო ძნელაძე

---

ქ. ქუთაისში

### თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—2)

---

### აბასთუმანში

კბილის ექიმი

✦ სამსონ მაშაყმაძე ✦

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ... ერ-მარკაროვისა № 42.

---

ფერშალი

ლ. ბარქალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

---

კბილის ექიმი

### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთ 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კრონჩნი ქუჩის ახლოს)

---

მასწავლებელი

### თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა სასწავლებლებისათვის, კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო კურსებისათვის, სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა ჯგუფში ჩაწერა უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის წინდაწინ.

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. 20 აგვისტოდან ადრესი გამოიცვლება. (18—3)


---

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო**

**კოპიტნარი.** ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ დაუღალავ მებრძოლის სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვის გამო.

დიდი ჯიხაიშის ინტელიგენცია.

**ლანჩხუთი.** თავზარი დაგვცა მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატ და მშრომელი ხალხისათვის მებრძოლ, ძვირფას ამხანაგ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ლანჩხუთელი ამხანაგები.

**ბათუმი.** გულით ვსწუხვარ ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის დაკარგვას.

ოლიმპიადა ჩხეიძისა.

**მოსკოვი.** ალექსანდრა ჯუღელს. თანაგიგრძნობთ თქვენს მწუხარებაში. პატიოსანი მუშაკის, ძვირფასი სევერიანეს ხსოვნა საუკუნოთ იქნება ჩემში.

მარუსია.

**(წერილები.)**

ვაცხადებთ ღრმა მწუხარებას უდროოთ დაკარგულ სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო. ჩვენთან ერთად ინუგეშოს ყველამ, რომ არ კვდება ის, ვინც ჩაგრულთათვის თავის სდებს.

ქართველთა ამხანაგობის სტამბის მუშები.

**ს. ბარი (რაჭა).** ბარის საზოგადოება სხვებთან ერთად გლოვობს ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის დაკარგვას.

საზოგადოების მონდობილობით ნესტორ სულაძე.

ჩემო ამხანაგო და მეგობარო სევერიანე! შენმა ასე უდროვო სიკვდილმა საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და გული დამიკოდა. შენ მოკვდი, მარა შენი სახელი და ნაშრომი თავის დღეში არ მოკვდება.

ივლიანე იაშვილი.

სხვებთან ერთათ ჩვენც ვგლოვობთ ძვირფას სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვას. მასში ჩვენ დავკარგეთ შეუპოვარი მებრძოლი.

თფილისის ტრამვაის მოძრაობის მუშათა მონდობილობით ლუკა ჩავლეშვილი.

**ქუთაისი.** მწარეთ დაგვტირით მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებულს სევერიანე ჯუღელის გაციებულ გვამს.

ქუთაისის კონდუქტორები: ნიკო, დათიკო, სპირიდონ, მიხეილ და გიორგი.

**საღ. შაგალი.** კიდევ მოკვეთა ულმობელმა სიკვდილმა საუკეთესო მებრძოლი. ვგლოვობთ ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის დაკარგვას.

დათიკო და კონსტანტინე კალანდაძეები, სევერიანე და ბესარიონ სირბილაძენი, თედორე ულენტი, ფარსადან სიამაშვილი, ალმასხან და დავით თავამაიშვილები, ნიკოლოზ მუჯირი, დიანოსე მაგნიძე, ილია ნიკოლაიშვილი, სიმონ მეხუზლა.

**სამტრედია.** წაუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს გულში ძვირფას სევერიანეს უდროოთ დაკარგვამ. მოკრძალებით ვეამბორებით მის გაციებულ სპეტაკ შუბლს.

ირინე და ნესტორ კალაძენი.

**ს. ნოსირი.** გული დაგვწყვიტა, თავდადებული მებრძოლის სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვამ.

გლეხების მონდობილობით მუშა ბესელია.

**ს. სუფსა.** ვაცხადებ ღრმა მწუხარებას ძვირფას სევერიანეს გარდაცვალების გამო.

კრისტეფორე გურგენაძე.

**ჭიათურა.** მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევთ თავდადებულ მებრძოლ მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის დაკარგვის გამო.

ილია ხაბაიძე.

**ს. ქვედა ბაკური.** გლეხების ერთი ჯგუფი ღრმა მწუხარებას აცხადებს სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო.

დი. მო.

**ქუთაისი.** ღრმათ დამამწუხრა მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლ სევერიანე ჯუღელის დაკარგვამ.

ასოთ-ამწყობი აზარტიანი.

**ქუთაისი.** თავზარი დაგვცა სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ფირალ. პაპირ. ქარხნის ორი მუშა.

ღრმათ დაგვამწუხრა ძვირფას მებრძოლ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

მუშები: საველი და კ—ძე

**ბორჯომი.** გული დამითუთქა ძვირფას ამხანაგ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ნიკოლოზ კაციაშვილი.

**ფოთი.** ვგლოვობთ ძვირფას მეგობარ მეორე დუმის ყოფილ დეპუტატ, სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვას.

ქდიეშვილი, ჩიტაია, დ. მამალაძე.

**ყვირილა.** ღრმათ დამამწუხრა ძვირფას მებრძოლ, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ო—და.

**ფოთი.** თავზარი დაგვცა, ჩაგრულთა ინტერესების დამცველ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ესტატე თოფურია.

**დ. ჭიათურა.** შავის ქვის გაცნებზე მომუშავე მუშები დიდათ დაგვამწუხრა და დაგვაღონა მუშათა ინტერესების მუდამ დამცველის მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

მუშების მონდობილებით კირილე და იასონ.

**ჭიათურა.** გამოუთქმელია ჩვენი მწუხარება დაუღალავ და მუდამ მუშათა ინტერესების დამცველის და ქალთა ემანსიპაციის მქადაგებლის ძვირფას სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვის გამო. ვთხოვთ გადასცეთ განსვენებულის ოჯახობას ჩვენი გულწრფელი მწუხარება.

ნატალია სიხარულიძისა პელასი ფხალაძისა მაშო გლეიშვილი გაჩეჩილაძისა, ვერა გელეიშვილი ვერიქა წივწივაძე, ალათი შოვნაძისა.

**კილავართა.** ღრმა მწუხარებით ვგლოვობთ მუშათა ინტერესებისთვის თავდადებულს და მებრძოლ სევერიანე ჯუღელის დაკარგვას.

ფორვუდის მადაროებში მომუშავე მუშები.

**დარკვეთი.** ვუერთებთ ყველა ამხანაგების მწუხარებას და ვწუხვართ სიცოცხლით სავსე, კეთილ დღეობისათვის მებრძოლ სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვას.

დარკვეთის უსახელო საზოგადოების ზავოდის მუშები.

**ჭიათურა.** ვწუხვართ და ვგლოვობთ მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის ამხანაგ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვას.

კირილე სიხარულიძე, იასონ ღვანიძე, ვასილ კვანტალიანი, ლევან ბუაძე, ერმილე კუნჭულია

—

სასტუმრო „ვოსტოკი“-ს მომუშავენი, სხვებთან ერთათ, ღრმათ დაგვამწუხრა, ჩვენი ინტერესებისთვის დაუღალავ მებრძოლის სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

ს. ჩანტლაძე.

—

გვირგვინები: გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოხსენებულ გვირგვინებს გარდა კიდევ იყო ბათუმის ს.-დ.-საგან, და ბათუმის ამხანაგ ნოქრებისაგან.

---

## თფილისი, 12 აგვისტო

შვეციის გაფიცვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ქვეყნის მუშათა ყურადღება მიიპყრო. ყველა ქვეყნის მუშებმა მათი ბრძოლა თავის ბრძოლათ მიიჩნიეს, მათი გამარჯვება თავის გამარჯვებათ და რითაც კი შეუძლიათ, დახმარებას უწევენ მას, როგორც ნივთიერათ, ისე მორალურათ. ყველა ქვეყნიდან—ამერიკიდან და აზიიდანაც კი, მისდის შვეციის გმირულ მებრძოლთ მუშათა ინტერესებისათვის თანაგრძნობის წერილები და შემოწირულებანი. და ეს კლასიური სოლიდარობა, კლასიური თანაგრძნობა ყველა ერის და სარწმუნოების მუშების, არ მოსწონს ქართულ მეორშაბათე გაზეთ „ივერიას“. მას, წარმოიდგინეთ, ისიც კი ვერ მოუნელებია, რომ ადგილობრივი გაზეთები ამ ამბავს წერილებს უძღვნიან და თანაგრძნობით ეკიდებიან. გროშების მაძებარი გაზეთი აქაც ანგარიშის თვალით იყურება და გაიძახის: „ჩვენებური ს.-დემოკრატები დიდის ალტაცებით უმზერენ სტოკჰოლმის ამბებს. ამ ამბებით თავს ნუგეშობენ და ამით კმაყოფილნი არიან, თითქოს ამითი ჩვენში რამე საქმე გაკეთდებოდეს და მშიერ-მწყურვალ ხალხს ნაჭერი პური, ან გროში ფული ემატებოდეს“. სამერთლიანათ შენიშნავს ამაზე „დროება“: ვაჭრული ანგარიშიაო. სხვაგვარი თვალსაზრისი „ივერიის“ ხელმძღვანელს არც როდისმე ქონია. იგი ყოველთვის და ყველაფერს ამ ადლით ზომავს, მარა აქაც სცდება. ამ ბრძოლით პირდაპირ ჩვენებური ხალხი გროშებს ვერ მიიღებს, ეს ცხადია, მარა არაპირდაპირ კი ამასაც რომ მნიშვნელობა ექნება ჩვენი ხალხისთვის, ეს ეჭვს გარეშეა. შვეციის მუშათა სამაგალითო ბრძოლა თავის ინტერესებისათვის ბევრ სასარგებლო ცოდნას და გამოცდილებას მისცემს ჩვენს მუშა ხალხს და თავის ინტერესების დაცვას ასწავლის. ამით კი მის „გროშებსაც“ მიემატება და მის კულტურულ-ეკონომიურ წინმსვლელობასაც, მარა სწორეთ ეს აწუხებს „ივერიას“. მას სწორეთ ის ეჯავრება, როცა მუშები თავის მდგომარეობაზე იწყებენ ზრუნვას. ეს ქვეყნის დაღუპვააო, ფინთიხივით ანთებული გაჰკივის ის ყოველ ასეთ შემთხვევაზე. ახლაც, ის გროშ-კაპეიკებზე მხოლოდ იმიტომ იძახის და ხალხზე ვითომდა მზრუნველობს, რომ მათი ყურადღება შვეციის გაფიცვას მოაშოროს: აბა, მაქედან რას გამოიყენებთ, თქვენ ჩემ პროგრამაზე იარეთო, ჩვენში ბრძოლისთვის საჭიროა სხვა დროშა, სხვა მიზნები, სხვა იდეალებიო, ამაყათ გვამცნობს ის თავის გულის ნადებს.

მისი იდეალები და მიზნები კი ისე დიდია, რომ ფეხ-მოტეხილ კურდღელს აეკიდება და მისთვის, რასაკვირველია, შვეციის მუშებისებური ბრძოლა არაა საჭირო. მისთვის საკმარისია პასუხების და პასუხის პასუხების გაზეთი გამოსცეს და ორიოდე გროში აიღოს „პატივცემულ“ მოკამათეთაგან მაინც ნომრის ფასათ. ასეთი ყაირათიანობა—აი გამდიდრების წყარო ჩვენში, „ივერიის“ ტიბიკონის თანახმათ. ამიტომ მაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

მარა არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ იმაზე, რომ ჩვენებური მუშებისთვის არც „დროებას“ მოსწონს შვეციის მუშების მაგალითი. ის ერთი მხრით ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებსაც კი იცავს, მუშებსაც სოლიდარობის გრძნობას უწონებს—იდეალური გრძნობააო, მარა მათი მაგალითის მიბაძვას დიდ შეცთომათ უთვლის. ის „ივერიას“ ამაში რამდენიმეთ კვერს უკრავს, და თან თავს იქებს ამაზე ჩვენც არ ჩამოგრჩებით ამ მხრივ ს.-დეკების დაგმობაშიო. აი მისი სიტყვებიც:

„როდესაც სოციალ-დემოკრატები, საერთაშორისო სოციალიზმით გატაცებულნი სრულიათ ივიწყებენ ხოლმე ქართველ ხალხის სპეციალურ ინტერესებს, ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ ხოლმე ამას. შეცდომა იყო, როდესაც სოც.-დემოკრატები ანგარიშს არ უწევდენ ადგილობრივ პირობებს და კლასიურ ბრძოლას ისე აწარმოებდენ, თითქოს დიდს სამრეწველო ცენტრში ყოფილიყვენ“.

შვეცია სამრეწველო ცენტრია, კავკასია არა—მაშ, შვეციის ბრძოლის წესები ჩვენ აქ კი არ უნდა გამოვიყენოთ, ის მხოლოთ შვეციელებს უნდა დავულოცოთ. აქ კლასიური ბრძოლა სხვანაირათ უნდა ვაწარმოვოთ, „როგორც ამას მოითხოვს ქართველი ხალხის სპეციალური ინტერესებიო“, ძნელი გასაგებია რაში მდგომარეობს ეს სპეციალური ინტერესები ქართველი ხალხის, რომელნიც უარყოფენ შვეციის მუშების ბრძოლის წესებს. ჩვენთვის ეს სულ ახალი გაგონებაა „დროების“ მხრივ, ეს კლასიური ბრძოლის ახალი „დროებისებური“ სისტემაა და საერთაშორისო სოციალიზმით გატაცებული ხალხი აბა, ამას საღ უნდა მიხვდეს. ის, ალბათ, საერთაშორისოს მაგიერ ადგილობრივ, „ნაციონალური სოციალიზმის“ კლასთა ბრძოლა იქნება, ე. ი. სოციალური აბსურდი. ამნაირათ, „ივერია“ ბევრ უაზრობას ჩადის, მარა მას ეპატიება. ის ბაზრის პირდაპირ მოთხოვნილებას უმორჩილებს თავის აზრებს და სიმპატიებს, მარა „დროებაც“ რომ მისკენ სწევს ხელს და თითქო ეჯავრება კიდეც, ეს მის „სოციალისტობას“ დიდათ საეჭვოთ ხდის და კიდეც აქარწყლებს.

ჩვენ კი, შვეციის გაფიცვას ვუყურებთ არა მხოლოთ იდეალური გრძნობებით, როგორც სოლიდარობის ერთ მაგალითს, არამედ როგორც მუშათა კლასობრივ ბრძოლის სისტემის სამაგალითო განხორციელებას; ჩვენთვის მასში ბევრი რამ საყურადღებო და მისაბაძია, როგორც მომავალი „სამართლიან წყობილების“ დამყარებისთვის, ისე თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებაში მუშებისაგან თავის პოზიციის დასაცველათ და გასაძლიერებლათ. შვეციის გაფიცვას, როგორც ვიცით, ამ ჟამათ წმინდა ეკონომიური ხასიათი აქვს და მუშები ისეთი უფლებების დაცვას თხოულობენ, როგორიცაა ხელშეკრულობის დაურღვევლობა ხაზეინთა კაპრიზისაგან და სხვა. ადგილობრივ ბურჟუაზიულ გაზეთებს არც იქ მოსწონთ შვეციის მუშების საქციელი და დღე მუდამ მათ გინებაში არიან და უცხოეთზე უთითებენ, იქ კარგი მუშებიაო, მარა ეს დაემართათ მათ, როცა იქ ბრძოლამ დიდი გამწვავება გამოიწვია. „დროება“-ს კი საერთო ხელობათ გადაუქცევია ადგილობრივის გმობა და უცხოელებისთვის სოლიდარობის გამოცხადება.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო.

## სპარსეთი.

**თეირანი.** შაჰის ათი წლის ძმა პრინცი მაჰომედ-ხასან-მირზა, სასახლის მინისტრმა ზერგენდედან თეირანში მიიყვანა, სადაც მემკვიდრეთ გამოაცხადეს.

**თეირანი.** ცნობა მიიღეს, რომ ყაჩაღების მიერ 6 აგვისტოს ტყვეთ წაყვანილი სპარსეთის ბანკის მოხელე რაიტი გაანთავისუფლეს და ნება მისცეს განაგრძოს მოგზაურობა.

პოლიტიკურ მეცნიერების შესასწავლათ შაჰს დაუნიშნეს ხოჯი-ენახი ლაზარევის ინსტიტუტში აღმოსავლეთ ენების ლექტორის მირზა-ჯაფარის ძმა. აღმზრდელ სმირნოვს წინადადება მისცეს დროებით შესწყვიტოს მეცადინეობა.

## ოსმალეთი.

**სტამბოლი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა მფარველ სახელმწიფოთა ელჩებს დაიწყონ მოლაპარაკება კრიტოსის ავტონომიის შესახებ. ყველაზე მეტათ აწუხებს პორტას კრიტოსის სასამართლოებიდან ათინის სასამართლოებში საკასაციო საქმეების გადატანა და საბერძნეთის საფოსტო მარკების ხმარება.

**ათინა** მეფე გიორგის ადიუტანტმა მიმართა წერილით მინისტრ პრეზიდენტ მალლის, რომლითაც სთხოვს უარ ყოს ხმები მეფე გიორგის ტახტიდან გადადგომის შესახებ ჯარში მოძრაობის გამო.

საზოგადოებრივი აზრი დაკმაყოფილებულია, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტს ბოლო ელება.

## რუსეთი

**ეკატერინოსლავი** სუხაჩევკაზაპოროჟეს ახლოს ლიანდაგს გადასცდა მატარებელი. დაიჭრა მემანქანე და მისი თანაშემწე. როგორც გამოირკვა, ბოროტგამზრახველებს ლიანდაგზე რკინა დაუდოთ.

**სარატოვი.** სმქონლის სადგურზე ცეცხლი გაჩნდა. ზარალი 45,000 მანეთამდეა.

ძველ ატლაში გადაიწვა 20 გლეხის სახლ-კარი.

**კალუგა.** სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველთ აირჩიეს თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი ბულიჩეკი და სამსახურიდან გადამდგარი მიატლევი.

**რეველი.** 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე რეველზე გადაიარა მფრინავმა ბურთმა. ბურთი შვეციიდან უნდა იყოს წამოსული.

**კრემენჩუგი.** გუშინს აქეთ საშინელი ცეცხლია. დაიწვა ორი სახერხი ქარხანა, ათი ხე-ტყის საწყობი, ნავთსადგური. გადაიწვა ქალაქის სამი უბანი. უსახლკაროთ დარჩა 1000 ოჯახი. ზარალი 300,000 მანათზე მეტია. ცეცხლის ჩასაქრობათ პოლტავიდან რაზმი მოვიდა.

**კურსკი.** ნოვომოსკოვის მაზრის სოფ. ბოლოტოვოში დაიწვა 45 მოსახლე. ზარალი 20,000 მანეთამდეა.

**პეტერბურგი.** საგანგებო დაცვის მაგიერ შემოღებულ იქნა გაძლიერებული დაცვის წესები ფერგანის ოლქსა, ქალაქ ჩარჯუს, სამარყანდსა, ტაშკენტსა და შუა აზიის რკინის გზაზე. გაძლიერებული დაცვის წესები გაგრძელებულ იქნა ერთი წლით თურქესტანის მხარეში.

**იაროსლავი.** მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი. ადმინისტრაციის, ერობის და დაწესებულებების წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა თათბირი მიწის მოწესრიგების საკითხის შესახებ. 11 აგვისტოს მინისტრის ამხანაგი მაზრებში მიდის ადგილობრივ კითხვის გასაცნობათ.

**ადესა.** გაიხსნა შავი და აზოვის ზღვის რაიონის გემთა პატრონების სიეზდი. სიეზდი ათ დღეს გაგრძელდება.

**მოგილევი.** რვა აგვისტოს ბოროტმომქმედების მიერ სოფელ კოლოჯში დაჭრილი მღვდელი და მისი და გარდაიცვალენ. შეტაკების დროს ტყის მცველს გარდა მოკლეს მემამულე ბელანოვიჩი და სტრაჟნიკი, მეორე სტრაჟნიკი დაიჭრა. ერთ თავდამსხმელთაგანი დასჭრეს. დანარჩენებს ალყა შემოარტყეს.

**ბაქო.** შავ ქალაქში რილსკის ნავთის „რეზერუარში“, რომელშიაც 200,000 ფუთი ნავთი იყო, ჯუმბარა ჩააგდეს. „რეზერუარი“ დაზიანდა, ნავთი ცოტა დაიღვარა. ეჭვი აქვთ რილსკის შვილის მოტაცებაში მონაწილეებზე.

**ვორონეჟი.** სავოსტო და საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახენ. მძიმეთ დაიჭრენ საქონლის მატარებლის მემანქანე და სამი მგზავრი, მსუბუქათ რამდენიმე მგზავრი.

**მოსკოვი.** სადგურ საპასსკოეს ახლოს ექიმ შუბერსკის აგარაკში ბოროტმომქმედებმა მოკლეს პოდპოლკოვნიკის ქვრივი დეკელი. გაიტაცეს 2000 მანეთის ნივთები

**ტულა.** მთელი კვირის განმავლობაში ქვის მუშებმა კერძო გაფიცვა მოახდინეს. მოითხოვდენ 8 საათ. სამუშაო დროს. დღეს ვარშავის ყველა ქვის მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს. მოლაპარაკება მშვიდათ მიდის.

**პეტერბურგი.** 24—31 ივლისამდე შავი ჭირით ავათ გახდა 29 ყირგიზი, ყველანი დაიხოცენ. 31 ივლისიდან ავათ არავინ გამხდარა.

**ადესა.** რადგან ხოლერამ თავი იჩინა, ქალაქის გამგეობამ მიმართა ხერსონის და ბესარაბიის გუბერნატორებს თხოვნით, მიიღონ ზომები სიბინძურე არ ჩაყარონ მდინარე დნესტრში და ყოველ დღე მოახდინონ წყლის ანალიზი.

## საზღვარ-გარეთ.

**რეიმსი.** 9 აგვისტოს დაიწყო სპორტის კვირა, ეჯიბრებიან ჰაერში მფრინავნი. წვიმიანი დღეებია. რამდენიმე ჰაეროსტატი ქარმა ძირს ჩამოაგდო. უბედურება არ მომხდარა. დღისით ლეფევრი აფრინდა რაიტის აპარატით. 24 წუთში ოცი კილომეტრი გაფრინდა.

**ბუდაპეშტი.** გალიციის საზღვარზე, სადგურ კერიეშმეზე, დაიჭირეს ფიუმეში ბანკზე ერთი თავდამსხმელთაგანი. მასთან ერთად დაიჭირეს მისი მხლებელი ქალი.

**ვენა.** სოფიიდან დეპეშით იტყობინებიან: 7 აგვისტოს ოსმალეთის სალდათები თავს დაესხენ ბოლგარეთის საზღვრის პოსტს ბელიკამეკს. სროლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ოსმალებს რამდენიმე სალდათი მოუკლეს.

**მენზონ—ლაფფიტა.** ჰაეროსტატი „ბაიარ-კლემანი“ ძირს დაშვების დროს რკინის გზის ტელეფონის მავთულებს მოედვა. ჰაეროსტატი წყალში ჩავარდა. შიგ მსხდომნი ცურვით გადარჩენ.

**ჟენევა.** ქალაქის გაზის ქარხანაში აფეთქება მოხდა დღის ხუთ საათამდე. ორი მკვდარი აღმოაჩინეს. დაჭრილები ბევრია. ქარხანა ცეცხლის ალშია.

## ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 24, მოკვდა 14. ავად არის 333.

**მოსკოვი.** საველევის რკინის გზის ვაგონში ერთი ავათმყოფი აღმოაჩინეს.

**რიგა.** ავად გახდა 9, მოკვდა 4

**ტვერი.** ავად გახდა 2.

**იაროსლავლი.** რიბინსკში ხოლერამ იკლო. უკანასკნელ დღეებში ავად გახდა 2, მოკვდა 2. იაროსლავლში ამ დღეებში ავად გახდა 11, მოკვდა 9.

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი

**ბოიკოტი ძლიერდება.** საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი თანდათან ძლიერდება. ბოიკოტი პირველათ სალონიკში დაიწყო. ეხლა სალონიკს სმირნა და ტრაპეზუნდიც მიემხრო. სტამბოლში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა თხოვნით მიმართა პორტას, რომ მიიღონ ზომები ბოიკოტის მოსასპობლათ, რადგან ბოიკოტი აკლებს განსაკუთრებით ვაჭარმრეწველთა კლასს და ამათ კი არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ პოლიტიკასთან.

**ნიაზი-ბეის განცხადება.** „ბ. ვ.“ სიტყვით ცნობილ რევოლიუციონერ ნიაზი-ბეის, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის კრებაზე განუცხადებია, რომ თუ შევკეთფაშას სამხედრო დიქტატურა კიდევ გაგრძელდება, მე აშკარათ გავილაშქრებ ხილმი-ფაშას კაბინეთის წინააღმდეგო.

## რ უ ს ე თ ი

**იუსკევიჩ-კრასკოვსკი ფინლიანდიის მთავრობას გადასცეს.** „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირს მებრძოლი რაზმის ყოფილი უფროსი იუს. კრასკოვსკი, რომელსაც ბრალი ედება დეპ. გერცენშტეინის მოკვლაში და რომელიც ამას წინათ დააპატიმრეს, უკვე გადასცეს ფინლიანდიის მთავრობას. კრასკოვსკის ვიბორგის ციხეში დამწყვდევენ. ფინლიანდიაში გაგზავნამდე კრასკოვსკი პეტერბურგის ციხეში ცოტათი ავათ იყო. მასთან ერთად საკანში დამწყვდეული იყო ერთი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკურ საქმეზე დასჯილი. ეს უკანასკნელი „რეჩის“ სიტყვით, მეტათ გულმოდგინეთ თურმე უვლიდა ავათმყოფ კრასკოვსკის; ს. დემოკრატის ასეთი მეგობრულ მოვლა-ყურადღებას კრასკოვსკისათვის გული აუყუჩებია. სასამართლოში მას დაიცავს ნაფ. ვექ. ბულაცელი და ნიკიტინი. ფიქრობენ, რომ კრასკოვსკი სასამართლოში ბევრ რამეს გამოააშკარავებს „კავშირის“ მოღვაწეობიდანო.

**ლიტერატორთა კასის დახურვა.** მთავრობის განკარგულებით დაიხურა ლიტერატორთა კასა. კასა არსებობს 50 წელია; მისი დანიშნულება იყო ღარიბ და ავათმყოფ ლიტერატორთა მატერიალური დახმარება. დახურვის მიზეზათ მთავრობა იმას ასახელებს ვითომ კასას დახმარება მიეცეს ცნობილ ტერორისტ ბალმაშოვის დედისათვის. კასის გამგეობამ განუმარტა მთავრობას, რომ ასეთი დახმარება მას არასოდეს არ გაუკია, მარა მთავრობამ ეს განმარტება არ შეიწყნარა. კასის გამგეობა ეხლა შუამდგომლობს, რომ კასის ლიკვიდაციის ვადა ცოტა ხნით მაინც გადაიდოს...

**არჩევნები პეტერბურგში.** პეტერბურგში მოხდა ყველა ოპოზიციონური პარტიების, გარდა კადეტებისა, პირველი თათბირი დუმაში ასარჩევ კანდიდატის შესახებ. დიდი კამათის შემდეგ დასახელებულ იქნენ ყველა ჯგუფების კანდიდატები. ს. დემოკრატების—სოკოლოვი, სახალხო სოციალისტების—მიაკოტინი ან ანენსკი, „შრომის ჯგუფის“—ლუტუგინი ან ბერეზინი, მეორე დუმის თავმჯდომარის ყოფილი ამხანაგი. ამასთან თათბირმა საჭიროთ სცნო შეუთანხმდენ ებრაელების ნაციონალურ ჯგუფს გრუზენბერგის კანდიდატურის შესახებ. თათბირმა საჭიროთ დაინახა აგრეთვე გამართოს მოლაპარაკება კადეტებთან. მოლაპარაკების ინიციატივა „ტრუდოვიკებმა“ იკისრეს, ნ. დ. სოკოლოვს „ბ. ვ.“ კორეს. უთქვამს: მე მთხოვეს ს. დ. ნოქრებმა ჩემი კანდიდატურის წამოყენება და მეც დავთანახმდი. მას შემდეგ, რაც კადეტების ლიდერმა ლონდონში განაცხადა, რომ ოფიციალურ რუსეთს და ოპოზიციას შორის აღარ არსებობს ის ორმო, რომელიც დღემდე არსებობდაო, მე შეუძლებლათ მიმაჩნია მთელი საარჩევნო კომპანიის კადეტების ხელში დატოვება. კადეტებმა ამ გვარი განცხადებით შეცდომაში შეიყვანეს დასავლეთი ევროპის საზოგადოებრივი აზრიო. კადეტებმა თავის განცხადებით კავშირი გასწყვიტეს თავის წარსულ ყველა დემოკრატიულ ტრადიციებთან. საშიში არაფერია საქმეს გადასწყვეტს „პერე ბალატიროვკა“ და მაშინ ჩვენც, საერთო კანდიდატები გვეყოლებაო...

## ისპანია

**სამღვდელოების პროვოკაცია.** თუ რა როლს თამაშობდა სამღვდელოება და კლერიკალები ისპანიის რევოლიუციაში სხვათა შორის შემდეგიდანაც ჩანს. „რ. ს.“ კორესპონდენტის სიტყვით, რევოლიუციის დღეებში ბარსელონაში გაჩნდა „ბუხილავი“ და ყოველგან „მეორე“ „человѣкъ крышъ“. ასეთ პირებს ტანზე მუშის ტანისამოსი ეცვა, ხელში ბრაუნინგი ეჭირათ, მიდიოდენ ამა თუ იმ სახლის პატრონთან და ბრაუნინგის შიშით სახლის პატრონთ წინადადებას აძლევდენ ნება მიეცა მათთვის სახლის სახურავზე ასვლის. ავიდოდენ თუ არა სახურავზე, იქიდან ქუჩაში მიმავალ ჯარს ტყვიებს დაუშენდენ. მე 6—7 სართულის სუხარავიდან მათი ტყვიები ჯარს ვერაფერს აკლებდა, ხოლო ჯარი მოთმინებიდან გამოსული იმ სახლს, საიდანაც ესროდენ, ზარბაზნებს უშენდა და ანადგურებდენ, რადგან ფიქრობდენ, რომ შიგ რევოლიუციონერებია ჩასაფრებული და ეს—ისინი ისვრიანო. როგორც კი სახლებს ზარბაზნებს დაუშენდენ, „человѣкъ крышъ“, ეხლა მეორე სახლის სახურავზე გადვიდოდა და იქიდან ისროდენ. აქაც ჯარი ისევე იქცეოდა. ორ ადგილას მცხოვრებლებმა ასეთი პროვოკატორები დაიჭირეს და ერთი მათგანი აღმოჩნდა კათოლიკების მღვდელი, ხოლო მეორე კათოლიკური კლუბის წევრი მდიდარი ახალგაზდა, ეზუიტების კოლეჯიის მოსწავლე. დაჭერილები გასასამართლებლათ სამხედრო სასამართლოს გადაეცა...

## საზღვარ-გარეთ

**სად არის გარტინგი?** „ნ. ფრ. პრ.“ შემდეგს ატყობინებენ: იმპერატორების შეხვედრის დროს კოუსში და შერბურგში, გარტინგი რუსეთის აგენტების უფროსათ იყო. გარტინგი მალე პეტერბურგში დაბრუნდება და იქ გადაწყდება კითხვა თუ სად დარჩეს შემდეგ, რუსეთში თუ საზღვარგარეთ. პარიზში საიდუმლო პოლიციის უფროსათ დან იშნავენ დირექტორათ ვინმე სამსახურიდან გადამდგარ აფიცერს. საფრან გეთის მთავრობას თითქოს ამაზე თანხმობა განუცხადებია. „ჰუმანიტეს“ მოყავს ეს ცნობა და თავის მხრით უმატებს: მან თავის მხრით სარწმუნო პირებიდან მიიღო ცნობა, რომ ზემოთ მოყვანილი ცნობა ნამდვილიაო. გარტინგი იყო კოუსში, მიუხედავათ კლემანსოს განცხადებისა, რომ დღიდან უცხოეთის პოლიციის არსებობა საფრანგეთში აკრძალული იქნებაო. „ჰუმანიტე“ მიმართავს ეხლანდელ მინისტრ-პრეზიდენტს ბრიანს შემდეგი კითხვით: 1) მართალია თუ არა, რომ გარტინგი, რომელ იც მთავრობამ საპატიო ლეგიონის სიიდან ამოშალა, ისევ განაგრძობს თავის მოღვაწეობას საფრანგეთში? 2) მართალია თუ არა, რომ საფრანგეთის მთავრობის თანხმობით, რუსეთის მთავრობა დირექტო-

## ს. გ. ჯუღელის ხსოვნას.

—

ცა ჩამობნელდა, სდუმს არე-მარე,
შავი ზეწარი თავს გადეფარა.
მზე სხივოსანი, აღარ მოსჩანდა,
იგი სადღაც შორს მთას მიეფარა.
არც მთვარე ბადრი, არც ვარსკვლავები,
არ ანათებდენ ღამის წყვდიადსა
ღრუბელს შთაენთქა თვისსა წიაღში,
ტყვილა ვეძებდი მე განთიადსა.
ის აღარ სჩანდა, თითქოს განრისხდა
და უმადურათ ხადის მიწასა
და არც უნდაო, რომ დაენახოს
მაგრამ ჩაჰკვრია მაღლა ის ცასა.
მესმის საზარი, ნადირთ ყმუილი,
თავზე დამჩხავის შავი ყორანი,
შიშმა შემიპყრო. ამ დროს ყურთ მესმა
შორით გლოვის ხმა მრავალხმოვანი,
ისმის ღარიბთა ქოხში გოდება,
მწარე ქვითინი, ამოძახილი:
„ჩაჰქრა მნათობი, ჩაჰქრა ლამპარი,“
„ბარემ დავიცეთ გულზე მახვილი“.
თვალნი აცრემლდა, ღაწვნი დასველდა
სევდა-ბოღმებით აივსო გული
ენა დადუმდა, გამიშრა სასა
და უსაზომოთ აშფოთდა სული...

**ალ. ვაშაკიძე.**

## საპატიო ფიქრები.

—

დაიწყო ისევ კამპანია კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ადგილობრივმა უმაღლესმა მთავრობამ კვლავ მოიღო მოწყალება და ერთხელ კიდევ მოგვაგონა, რომ ერობის საკითხი კავკასიისათვის სამუდამოთ დამარხული და დავიწყებული არ არის. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც იგივე მთავრობა შეეკითხა კავკასიის მცხოვრებთ, როგორი ერობა სურდა მას. ეს მაშინ გახლდათ, როცა მთავრობისათვის ხალხის სურვილი თითქმის კანონს უდრიდა. გახსოვთ, რასაკვირველია, ხალხის პასუხი—ხალხმა სთქვა: მე მინდა ერობა, რომელიც ემსახურება ჩემს ინტერესებს და არა მთავრობისას და მისი მოკავშირე წოდების და კლასებისას. ამას ხალხი ამბობდა შეგნებულათ და არა სხვისი ჩაგონებით ეს დრო ბევრისათვის გაქრა ვითა სიზმარი ღამისა და მასთან ხალხის მაშინდელი სურვილიც. მას შემდეგ ბევრი წყვდიადის მოტრფიალენი ქადაგათ დაეცა: რომ მეამბოხეთ არ შეეშალათ ხელი, მთავრობა, რა თქმა უნდა, გაგვაბედნიერებდა და მშვენიერ ერობას მოგვცემდაო. ზოგი ამას პოლიტიკური უსუსურობის გამო გაიძახდა, ზოგი იმ მიზნით, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხის თვალში გაეფუქსავატებ-გაებათილებია.

ახლა ასეთებს შემთხვევა აქვთ უფალს მადლობა შესწირონ. მოძრაობა, რომელმაც დროებით მაინც თავზე მეხი დასცა ქვეყნის ბნელ ძალებს, შეჩერდა, ამ ძალებმა კვლავ აიღეს თავი და ცხოვრების მოედანზე დაფარფატებენ, მოდუნდა საზოგადოების მაჯის ცემა. ახლა მთავრობა, რასაკვირველია, ხალხს აღარ ეკითხება. მან ახლა მოიწვია უგონიერესი და ფრიად კეთილ-საიმედონი და მათი დახმარებით შეუდგა საქმეს.

ვნახოთ, ახლა რას იტყვიან ეს მარილნი ამა სოფლისანი. დღეს მთავრობას ხელს აღარავინ შეუშლის. ცხოვრების უკუქცევის მოტრფიალენი ჩვენში იმედნეულნი უნდა იყვენ, რომ მთავრობა სავსებით გადაშლის ერობის საკითხის საქმეში თავის ჩვეულებრივ შემოქმედებითი ნიჭს და მის მიერ შექმნილი ერობა მალამოთ დაედება ადგილობრივ დაწყლულებულ ცხოვრებას. ჩვენ რომ წინასწარმეტყველი არ გახლავართ, ეს თქვენ კარგათ იცით. მიუხედავათ ამისა შემიძლია ახლავე მოგახსენოთ რა სახის და რა მიზნის ერობას მისცემს (თუ მისცა) მთავრობა კავკასიას.

იცით, რასაკვირველია, რომ ჩვენებურ გლეხკაცობას დღემდის მინიჭებული აქვს ერთგვარი თვითმართველობა. რა გნებავთ რომ აქ თავისებურ თვითმართველობაში არ იყოს: თანამდებობის პირთა ამორჩევა, მამასახლისი, მსაჯულები, ყრილობის უფლება და სხვა. მიუხედავათ ასეთი გარეგანი დემოკრატიზმისა, გლეხკაცობის ინტერესებთან ამ თვითმართველობას ისეთივე კავშირი აქვს, როგორიც თქვენ, მკითხველო ძაღლთა-პირებთან. ეს თვითმართველობა ზედგამოჭრილი იყო ერთ მიზანზე: ყოველგვარი მოვალეობის ასრულება გლეხთა საზოგადოების მიერ ბატონისა და მთავრობის წინაშე. გადასახადების განაწილება და გადახდევინება, გზების კეთება, დარაჯობა, ხარ-ურმის დროზე გამოყვანა, „ნადელის“ ადება მემამულისთვის და სხვა ამგვარები.

ერობამ, რომელიც მთავრობისაგან ებოძება კავკასიას, უპირველესათ ყოვლისა უნდა აასრულოს იგივე როლი: რამდენათაც დღეს ღვთისა და მთავრობის წყალობით ჯერ კიდევ ბატონობს კავკასიის უმაღლესი წოდება, ერობა უნდა ემსახურებოდეს ამ ბატონს. მართალია, კავკასიის თავად-აზნაურობას მთავრობა ახლა აღარ უყურებს წინანდელი მოწყალების თვალით, ის აღარ სთვლის ჩვენებურ ბრწყინვალე წოდებას კავკასიაში, ამ განაპირა ქვეყანაში, რუსეთის ისეთ ბურჯათ, და ყოვლათ ერთგულ ქვეშევრდომათ, როგორც წინეთ. ასე იყო, სანამ მთავრობისათვის საჭირო იყო კავკასიაში აზნაურობის მკლავი და ხმალ-კაპარჭი. ახლა ეს საჭირო აღარ არის, ამიტომაც ახლა სხვასთან ერთათ ჩვენებურ თავად-აზნაურობას სეპარატისტობას წამებენ მარკოვ-პურიშკევიჩები, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ზუბრი ზუბრს შესჭამს: სანამ ცოცხლები იქნებიან, ავათ არის თუ კარგათ, ზუბრებმა ერთათ უნდა სძოვონ.

უმთავრესათ კი, მთავრობის მიერ შემოღებული ერობა ისე იქნება მოწყობილი, რომ ერთი მხრით მას ხარჯები შეუმსუბუქოს ამ დაწესებულებამ ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეში, რასაკვირველია, თვით მართვა-გამგეობის სისტემის შეუცვლელ-შეურყევლათ, მეორე მხრით, გაუადვილოს გადასახადების მოკრების საქმე.

რუსეთის სხვადასხვა ერთა შორის მტრობის და შურისძიების თესვა დიდი ხნის ნაცადი ხერხი იყო სახელმწიფოს ბედიღბლის გამგეთა ხელში. არსად ეს ხერხი არ ხმარებულა ისე ხშირათ, როგორც კავკასიაში. არსად იმდენი ვნება ადგილობრივ მცხოვრებთათვის და სარგებლობა მთავრობისათვის არ მოუტანია ამ ხერხს, როგორც კავკასიაში. ასე იყო წარსულში; ცხადია, მომავალში უარესი იქნება, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კლასობრივ დიფერენციაციასთან ერთათ ცხადყო ეროვნული დიფერენციაცია. ამას კარგა ხედვენ ქვეყნის გამგენი და, რა თქმა უნდა, გარემოებით ისარგებლებენ მტრობის ალმური გააჩაღონ ერთა შორის. რას მოუტანს ასეთი პოლიტიკა რუსეთს საბოლოოთ, ეს სხვა კითხვაა, მაგრამ დღეს რეაქციისათვის ეს მეტათ მოხდენილი ხერხია. ამიტომაც, უეჭველია, მომავალ ერობას ისე მოაწყობენ, რომ ძმა ძმის წინააღმდეგ აამხედრონ. ყარსის სამოქალაქო თვითმართველობა, მოწონებული ორი საკანონმდებლო დაწესებულებისაგან და დამტკიცებული, ამის საუცხოვო ნიმუშია. აი რა ფუნქციებს შეუხამებს მთავრობა კავკასიის ერობას და რა ხასიათს მისცემს მას.

ყველამ კარგათ ვიცით, როგორ შეხვდება მესამე სახელმწიფო დუმა ერობის ასეთ პროექტს. ნუღარ ვილაპარაკებთ დუმის შავრაზმელებზე. მათი სულის კვეთება და სანატრო ცხადზე უცხადესია. მათი აზრით კავკასიას ერობა კი არა, ციხე და ტყვია უნდა. რას იზმენ ოქ-

რათ ნიშნავს პარიზის ჯაშუშების ჟურნალს?.

**გაფიცვის მიზეზები შვედეთში.** „პირ. ელექ.“-ს კორესპონდენტს უსაუბრია შვედეთის [illegible] უნივერსიტეტის პროფესორ ვინკლერთან. ვინკლერს შესწავლილი აქვს შვედეთის ეკონომიური მდგომარეობა და გაფიცვის დროს [illegible] გაფიცვის მიზეზების და მისი მნიშვნელობის შესახებ. პროფესორის ფიქრით: მე იმ აზრისა ვარ, რომ ასეთი სოციალური კონფლიქტები მანამდე აუცილებელია, სანამ არ გაუმჯობესდება შვედეთის ეკონომიური მდგომარეობა საერთოთ. სამწუხაროთ, შვედეთი ამ მხრით სულ უკან და უკან მიდის. [illegible] ... 91,000 მუშა გაისროლა ... [illegible]

რაც შეეხება გაფიცვის გათავებას, ეს დამოკიდებულია გაფიცვის კომიტეტზე. [illegible] ... მთავრობას და პარლამენტს. [illegible] ... არა პოლიციური ზომები „წესიერების და მშვიდობიანობის დამყარებისათვის“.

**ქრთამი ამერიკაში.** ნიუ-იორკის პოლიციის ყოფილმა კომისარმა, გენ. ბინგემმა გამოააშკარავა, რომ ნიუ-იორკის 2,000-ზე მეტი პოლიციის მოხელე სისტემატიურათ იღებს ქრთამს. ნიუ-იორკი ყველაზე უფრო გარყვნილი ქალაქია მთელ დედამიწაზე. ამ ქალაქში პოლიციის მოყიდვაზე 100 მილიონ დოლარზე მეტი იხარჯება ყოველ წელს. ბინგემის წერილმა დიდი სენსაცია გამოიწვია.

# ახალი ამბები

**ნამესტნიკის მიერ სასჯელის შემსუბუქება.** როგორც მკითხველებმა იციან, სამხედრო-საოლქო სასამართლომ რ. ს. დ. მ. პ. ვერის რაიონულ ორგანიზაციის საქმის გამო ოთხი წლით კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა სპირიდონ ამაღლობელს (იგივე მელიტონ ფილიას), პეტრე ჯიაძეს, ზაქარია ქლივიძეს, ალექს. გელოვანს, გერასიმე შალამბერიას, მიხეილ კიკნაძეს, ოლღა ნათაძეს, ნატალია კიკნაძეს და ემილ სირბილაძეს. ამათში ქალებს გარდა, კავკასიის ნამესტნიკმა ყველას კატორღა ციმბირში საუკუნოთ გადასახლებით შეუცვალა. ქალებს კი, კატორღა 2 წლის ციხეთ შეეცვალათ. ამასთან, მათ ის დროც ჩაეთვლებათ, რაც დღემდე ციხეში მჯდარან.

**თავ. ილია ჭავჭავაძის მოკვლის საქმე.** ორშაბათს, 10 აგვისტოს, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო ილ. ჭავჭავაძის მოკვლის საქმ. მეორეჯერ გარჩევა. პირველათ საქმე შარშან, 30 ოქტომბერს გაირჩა და ყველა ბრალდებულთ: გლეხს თედო ლაბაურს (ჭავჭავაძის ყოფილი მეეტლე), გიგო მოძღვრიშვილს და ხიზანაშვილს სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ სასჯელი უვადო კატორღათ შეუცვალეს. ბრალდებულთა დამცველის საჩივრით მთავარმა სამხედრო სასამართლომ ეს განაჩენი შესცვალა, რადგან ბრალდებულნი სამართალში იყვნენ მიცემულნი გენერალ-გუბერნატორის მიერ და არა კავკასიის ჯართა მთავარ სარდლის მიერ. მეოთხე ბრალდებული ვანო ხიზანაშვილი დააპატიმრეს 1908 წ. 14 დეკემბერს გიგო მოძღვრიშვილი უკვე გარდაიცვალა. ბრალდებულნი თავს დამნაშავეთ არ სცნობენ. ამ საქმის გამო 29 მოწმე გამოიწვიეს. ამათში 6 მოწმე არ გამოუწვევიათ მოძღვრიშვილის სიკვდილის გამო. სხვებში 10 არ გამოცხადდა, არ გამოცხადდენ სხვათა შორის ქვრივი პოეტისა ოლღა ჭავჭავაძე, თავადი ზაალ ჭავჭავაძე, ჭავჭავაძის ყოფილი მოსამსახურე დიმიტრი ჯაში (ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ სხვათა შორის ესეც დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს), დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსი სტრიჟევი და ბოქაულები ემეცი და მარკოვიჩი. საქმის გარჩევა გუშინ დასრულდა. სამხედრო სასამართლომ ბრალდებულთ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

**სტიპენდია ვ. პეტრიაშვილის სახელზე.** როგორც „რეჩი“ გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ შეიწყნარა ოდესის ტეხნიკურ საზოგადოებისა და უნივერსიტეტთან არსებულ ბუნების მეტყველთა საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გაიმართოს ხელის მოწერა ტეხნიკურისა და სხვა საზოგადოების წევრთა შორის ნოვოროსიის უნივერსიტეტში მისი ყოფილ რექტორის პროფ. ვ. პეტრიაშვილის სახელზე სტიპენდიის დასაარსებლათ. სამინისტრო უარს იმით ასაბუთებს, რომ არ არის საჭიროება ნოვოროსიის უნივერსიტეტში მეტი სტიპენდია დაარსდესო.

**საავათმყოფო სვანეთში.** ლეჩხუმის მაზრის ს. ბეჩოში მიმდინარე წლის შემოდგომაზე ადგილობრივი ადმინისტრაციის განკარგულებით იხსნება სოფლის საავათმყოფო მუდმივი საწოლებისა და სამკურნალო პერსონალის შტატის განსაზღვრული რიცხვით. ამავ დროისთვის აქ აპირობენ მომრიგებელ მოსამართლის კამერის გადატას, რომელიც ახლა ცაგერშია. („თფ. ფ.“)

**საერობო მცირე სექციის სხდომა.** ათ აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა საერობო პირველ მცირე სექციის სხდომა. სხდომაზე კამათი გაიმართა იმაზე, თუ როგორ უნდა დაიყოს თფილისის გუბერნია საერობო ერთეულებათ. საუკეთესოთ და მიზნის შესაფერისათ სცნეს თფილისის გუბერნია 31 ნაწილათ დაიყოს. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრა—6 ნაწილათ გაიყოფა; თფილისის მაზრა და თვით ქალაქი თფილისი—4 ნაწილათ; თელავის მაზრა და თიანეთის მაზრის სამი სოფელი—ერთ ნაწილათ; თიანეთის მაზრა (სამი სოფლის გამოკლებით)—სამ ნაწილათ; სიღნაღის მაზრა—სამ ნაწილათ; გორის მაზრა და ახალციხის მაზრის აწყურის საპოლიციო ნაწილი—6 ნაწილათ. ახალციხის მაზრა ერთ ნაწილათ, ახალქალაქისა—ორ ნაწილათ. დუშეთისა—სამ ნაწილათ და ზაქათალის ოლქი—ორ ნაწილათ. ამ თავის მოსაზრებას მცირე სექცია საერობო სექციებს წარუდგენს განსახილველათ.

**სახ. უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა.** ათ აგვისტოს მოხდა სხდომა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. სხდომაზე გადაწყვიტეს უნივერსიტეტის სასარგებლოთ 1) 15 აგვისტოსთვის ბორჯომში სახალხო სეირნობა გაიმართოს. 2) ეთხოვოს აგრეთვე რამდენიმე კერძო პირს ამ დღეებში მანგლისში სეირნობა გამართონ უნივერსიტეტისავე სასარგებლოთ. 3) მოაწყონ ლექციების კითხვა 29 აგვისტოდან. ამ დღეს სახალხო უნივერსიტეტის სახელით წაიკითხავენ პირველ ლექციას. დაადგინეს სცადონ, რომ ლექციები სახაზინო თეატრში იკითხონ, თუ თეატრის შენობა დაკლებულ ფასებში დაუთმეს უნივერსიტეტს.

**პოლიცმეისტერის ბრძანება.** თფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა—სახლის პატრონებმა მეეზოვეებათ არ იყოლიონ მუშები, რადგან ესენი მთელი დღის განმავლობაში ტვირთით იღლებიან, ღამით ეძინებათ და ქურდებს თვალყურს ვერ ადევნებენო. სახლის პატრონთ წინადადება ეძლევათ ამ საქმისათვის სპეციალურათ მეეზოვეები იყოლიონ.

**ადმინისტრატიულათ გადასახლებული.** პოლიციამ დააპატიმრა თფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული ვლადიმერ ტოროსაშვილი, რომელიც თფილისში ვლადიმერ დვალიშვილის პასპორტით სცხოვრობდა თურმე. მას პასუხისგებაში აძლევენ.

**ტუსაღის გაქცევა.** 10 აგვისტოს საღამოს 5 საათზე პოლიციელს ანდრია სვინჩენკოს მეტეხის ციხეში მიჰყავდა ტუსაღი ს. დიღმის მცხოვრები პეტრე ვერულაშვილი, რომელსაც ვერაზე ეკლესიის გაქურდვა ბრალდებოდა. ტუსაღმა პოლიციელს თხოვა რამდენიმე წუთით სარდაფში გაეშვა, პოლიციელი დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვერულაშვილი მიმალულიყო. პოლიციელს ამის გამო პასუხის გებაში აძლევენ.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 10 აგვისტოს პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა მე-8 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 24 კაცი, რომელთაც პასპორტი არ აღმოაჩნდათ.

**დაპატიმრება.** პოლიციამ დააპატიმრა სენაკის მაზრის მცხოვრებნი: ნესტორ პაპავა, ასლან არჩია და ფილიპე ბესელია, რომელთაც სხვადასხვა დროს ქურდობა და ფულების დატყუება ბრალდებათ.

**სიმონ კაციას ძე ჟღენტი.** 10 მკათათვეს რიონის და მუხიანის სადგურებს შუა მატარებელმა მოკლა სიმონ კაციას ძე ჟღენტი. მიცვალებულის 40-ის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ჩოხატაურში 16 მარიამობისთვეს.

**სხვადასხვა ამბები.** 10 აგვისტოს ქუთაისის ქუჩაზე გერასიმე აკოფოვს მოპარეს 60 მ. ფულათ და ნივთები 600 მანეთისა. პოლიციამ ამ საქმის გამო დააპატიმრა არტემ თუმანოვი და ანტონ ჟელტკოვსკი. ნივთები უნახეს თამარო გვიკვიძეს, რომელიც აგრეთვე დააპატიმრეს.

— ვიღაც უცნობთ გაუქურდავთ გრიბოედოვის ქუჩაზე ნავიცი ვექილი სპანდარიანის ბინა. სპანდარიანი სა[illegible] ღვარცარეთაა, ამიტომ მოპარულ ნივთების რაოდენობა ვერ ადგინეს.

**გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატების სასარგებლოთ ქობულეთში შეიკრიბა და დანიშნულებისამებრ გადაეცა 13 მ. 30 კ.; გასაგზავნის 30 კ. გამოკლებით. სია შემომწირველთა:

კოსტა ხაბაიშვილი 50 კ.; ნესტორ ითაძე 25 კ.; იასონ ხოხონაიშვილი 50 კ.; მათე მანჯგალაძე 30 კ.; ვალია მანჯგალაძისა 30 კ.; კესარია დარახველიძე 40 კ.; რაჟდენ სიორძე 20 კ.; ივანე თენეიშვილი 20 კ.; არსენ შოშიტაიშვილი 30 კ.; პავლე ჭეიშვილი 20 კ.; დიომიდე ხომერიკი 20 კ.; ვლადიმერ ხელაძე 25 კ.; გერასიმე ბორხხაძე 25 კ.; ლადიკო გოგუა 20 კ.; იოსებ მალაზონია 20 კ; ივანე კობალიანი 1 მ. 50 კ.; თედორე ინწკირველი 20 კ.; კირილე ანდღულაძე 30 კ.; მართა ა. ჟღენტისა 2 მ.; ნიკოლა მანჯგალაძე 1 მ.; ისაკი საბაიშვილი 1 მ.; ივანე დიხამიძე 30 კ.; ნიკიფორე ჩხარტიშვილი 30 კ.; გიორგი მაზანდაშვილი 20 კ.; პართენ გოლიაძე 25 კ.; ალექსანდრე ანთაძე 20 კ.; გიორგი ბ. ჟღენტი 50 კ; ერასტო წულასკარი 30 კ.; კლიმენტი ორაგველიძე 1 მ.; ტარასი ანდღულაძე 50 კ.; პავლე ძიძიგური 50 კ.

## დღევანდელი ვითარება.

(გზა მომავლისაკენ).

### III

სანამ შევეხებოდით იმ საკითხს, თუ როგორ და რა ფორმაში უნდა გამოიხატოს „დემოკრატიის“ მოქმედება ბიუროკრატიის წყობილების წინააღმდეგ, რამდენიმე სიტყვით მაინც უნდა განვმარტოთ, თუ ვინ, რა კლასები წარმოადგენენ დღეს რუსეთის დემოკრატიას. საზოგადოთ, დემოკრატია—ეს ხალხია, მაგრამ, როცა ჩვენ პოლიტიკური ენით ვლაპარაკობთ, მაშინ „დემოკრატია“ ადგილის, დროს და გარემოების მიხედვით, სხვადასხვა შინაარსს და სახეს ღებულობს. მაგალითად, ევროპაში, სადაც პოლიტიკურ-მოქალაქობრივი უფლებანი აღიარებულია, დემოკრატიას თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს: იქაური ბურჟუაზია ეხლა არ ჩაითვლება დემოკრატიის ერთ-ერთ ელემენტათ, მის შემადგენელ ნაწილათ! ან და გინდ აღმოსავლეთის ქვეყნებში—ოსმალ-სპარსეთ-ჩინეთში, სადაც ჯერ კიდევ ძველი პატრიარქალური წარმოება სჭარბობს ახალს—კაპიტალისტურს, რის გამოც ბურჟუაზია და პროლეტარიატი ამ სიტყვების თანამედროვე მეცნიერული მნიშვნელობით არ არსებობს, დემოკრატიას გლეხები და დიდი ქალაქების ხელოსნები და წვრილი ვაჭრები შედგენენ...

სულ სხვაა რუსეთი! აქ სანამ კონსტიტუცია არ იქნება მოპოებული, დემოკრატიაში შედის რუსეთის ბურჟუაზიის ერთი ნაწილიც ის ამ დემოკრატიასთან ერთათ წარმოადგენს ერთ-ერთ უკმაყოფილო ნაწილს ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, ამ აზრს კ. კაუცკიც ემოწმება. იგი ლაპარაკობს: *) „რუსეთის ბურჟუაზია, რამდენათ იგი საზოგადოთ დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას მისდევს და ლიბერალურია, იმდენათ მას, რასაკვირველია, ეჯავრება აბსოლიუტიზმი“!

და აი, სწორეთ ამ განსხვავებას უნდა მიექცეს ყურადღება, როცა რუსეთის განმათ. მოძრაობაზე, მის „მამოძრავებელ ძალებზე“ და დემოკრატიის როლზე ვლაპარაკობთ ამ რევოლიუციაში. როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ბრძოლა ძველ და ახალ კონსტიტუციონურ წყობილების შორის უკვე დიდი ხანია არსებობს, რომელმაც საიმპერიო ნაციონალური ხასიათი მიიღო 1905 წელს და რომელიც დღეს სრულ რეაქციით შეიცვალა. ვინ ღებულობდა ამ ბრძოლაში მონაწილეობას, ვინ მეთაურობდა მას?

ამ ბრძოლაში მონაწილეობას თავისი კლასობრივი ინტერესების მიხედვით ყველა კლასები ღებულობდენ გარდა ფეოდალურ-მემამულეთა კლასისა! მისი მეთაურობა დროებით ხვდა პროლეტარიატს, რამაც ძალზე დააფრთხო ბურჟუაზია და დაბადა რევოლიუციის კრიზისი... მაშ, პროლეტარიატი უნდა გადადგეს და რევოლიუციის მეთაურათ ბურჟუაზია უნდა გამოვიდეს, რომ მოძრაობამ გაიმარჯვოს, არა?

შემოგძახებს „გაკაჟებული“. არა და ათასჯერ არა! იქნება ჩვენი პასუხი! რუსეთის ბურჟუაზია ვერ გამოვა მოძრაობის მეთაურათ, ვინაიდან თვით რუსეთის რევოლიუცია, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ მიზნათ ისახავს რუსეთში წმინდა ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას, ნაცვლათ დღევანდელ ფეოდალურ-ბიუროკრატიულისა, ხდება არა ბურჟუაზიული ბრძოლის მეთოდით, არამედ, დღემდის მაინც ეს მეთოდი თითქმის წმინდა პროლეტარული იყო. ამავე აზრს ამტკიცებს კ. კაუცკი წინ დასახელებულ ბროშიურაში (გვ. 43). დაუგდეთ ყური: „ბურჟუაზია (მხედველობაში რუსეთის ბურჟუაზია აქვს) არ ეკუთვნის რუსეთის დღევანდელ რევოლიუციონურ უმთავრეს (სულის ჩამდგმელს) ძალებს და იმდენათ არ შეიძლება მას ბურჟუაზიული რევოლიუცია ვუწოდოთ“-ო. მაშ, თუ ბურჟუაზია ვერ გამოვა მოძრაობის მეთაურათ და აგრეთვე არც ერთი რევოლიუცია უმეთაუროთ არ მომხდარა და არც მოხდება. მაშასადამე, რუსეთის რევოლიუციის მეთაურობა ისევ პროლეტარიატმა უნდა იკისროს—დაგვიჭერს ლოღიკაში გაკაჟებული. კიდევ არა და ათასჯერ არა! მართალია, ყველა კლასიკურ და ახალ რევოლიუციებს ყავდა მეთაური, მაგალითად საფრანგეთში მას მეთაურობდა ბურჟუაზია. ოსმალეთში სამხედრო არისტოკრატია და ნახევრათ ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, სპარსეთში თითო-ოროლა გმირი—სათარხან-ბაგირხან-სეპეხდარები, რომლების სულის კვეთება იგივე ნახევრათ ფეოდალურ-ბურჟუაზიულია, მაგრამ რუსეთის რევოლიუცია, როგორც სამართლიანათ შენიშნავს ნ. ჟ. „სულ ახალი მოვლენაა ისტორიაში“ პირველი და უმთავრესი განსხვავებათ სხვა რევოლიუციებთან, ჩემის აზრით, უნდა ჩაითვალოს ის „საკვირველი“ გარემოება, რომ მას ერთი მეთაური არა ყავს. მარქსის ერთ ერთი სოციალური დასკვნა გვეუბნება, რომ ყოველი ძველი ურთიერთობისა და ახალის დამყარებას ისტორიაში მეთაურობს უეჭველათ ის კლასი, რომელიც აღმოცენებულია ახალ ეკონომიურ ურთიერთობაზე და რომელიც სოციალური და გონებრივი მემკვიდრეა ახალი წყობილებისა. კაპიტალისტურ რუსეთში ასეთი კლასია ბურჟუაზია და რუსეთის განახლებაც სწორეთ ამ გზით მოხდებოდა, რომ თვით კაპიტალიზმის სპეციფიკურ განვითარებას რუსეთში სურათი არ გამოეცვალა და ბურჟუაზიაზე ადრე ბრძოლის ველზე პროლეტარიატი არ გამოეყვანა. *).

რუსეთში არც ბურჟუაზიაა დღეს მთლათ პოლიტიკურათ მოუმწიფებელი, პროლეტარიატი ხომ გაცილებით წინ წავიდა და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ახალი წყობილების დამყარება შეუძლია ახალი პოლიტიკური მიზნით გამსჭვალულ კლასს, მაშინ ადვილათ წარმოიდგენთ, რომ აქ პროლეტარიატი და ბურჟუაზია ვერ დაუთმობენ ერთი მეორეს რევოლიუციის მეთაურობას. აქ არც ბურჟუაზია გაჰყვება პროლეტარიატს, არ სცნობს მას მეთაურათ და არც პროლეტარიატი იკისრებს ბურჟუაზიის კუდში მაჩანჩალობას. დღეიდან ყოველგვარი მისწრაფება, რომ სხვადასხვა კლასებმა და ჯგუფებმა თავი გაანებონ დროებით თავიანთ „საუკეთესო“ პროგრამებს და შეერთდენ ერთ კონსტიტუციონურ პარტიათ, მტკნარი ოცნებაა; პირიქით, დღეიდან კლასთა ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კიდევ უფრო გამწვავდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორმა ახალმა კლასებმა რეაქციის

*) იხ. მისი რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები, გვერდი 42.

*) რუსეთში კაპიტალიზმის სპეციფიკურ (თავისებურ) განვითარებას და მისგან გამოწვეულ მოვლენებს ეხება კარლ კაუცკი ვრცლათ თავის შენიშნავ ბროშიურაში: „Американскій рабочій и русскій капитализмъ“.

---

ტომბრისტები? უეჭველია, ისინი, რაგინდ ვიწრო იქნეს მთავრობის კანონპროექტი, კიდევ უფრო შეავიწროებენ და შეკვეცენ. შარშან მთავრობის კანონპროექტი ყარის თვითმართველობის შესახებ ოქტომბრისტებმა დაიწუნეს მხოლოთ იმიტომ, რომ იქ რუსის კურიაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ამ რიგათ, ოქტომბრისტებმა მთავრობას ბევრათ გადააჭარბეს. მართალია, გუჩკოვი ინგლისელებს შეპირდა, რუსეთის განაპირა ქვეყნებს ფართო თვითმართველობა უნდა მივანიჭოთო, მაგრამ ეს იყო ინგლისში და არა რუსეთში. რას იზმენ კადეტები? დღემდის, როგორც იცით, ეს კურთხეული ხალხი მთავრობას ოპპოზიციაში უდგა. ახლა ცნობილი ლიდერის პირით ინგლისის საზოგადოების წინაშე საქვეყნოთ აღიარეს: „სანამ ჩვენ ხელთ იქნება ბიუჯეტის კანტროლი, მანამდი ჩვენ ვიქნებით უმაღლესი მთავრობის ოპოზიციაო“. ამას ამბობს ლიდერი იმ ფრაქციის, რომლის ორატორები დემოსფენის მჭევრმეტყველობით მთელი ორი წლის განმავლობაში უმტკიცებდენ რუსეთს და ევროპას დუმას არავითარი უფლება არ აქვს ბიუჯეტის საკითხში და საჭიროა ოდნავ მაინც გაფართოვდეს მისი უფლება ამ საქმეშიო. მომავალი წლის ბიუჯეტიც რომ დიდი დეფიციტით დაგვირგვინდებოდა, ეს კარგა ხანია იცოდა ყველამ და, რა თქმა უნდა, კადეტებმაც; იცოდენ აგრეთვე, რომ რუსეთს სესხის აღება მოელოდა. ჯერ კიდევ მეორე სესიის უკანასკნელ ხანებში, როცა ის იყო, მდგომარე წლის ბიუჯეტის განხილვა ბოლოვდებოდა დუმაში, კადეტმა შინგარიოვმა ტრიბუნიდან მიმართა დუმას: საჭიროა დავაჩქაროთ ბიუჯეტის მიღება, რომ მთავრობას საშუალება მივცეთ სესხი აიღოსო. მილიუკოვმა კი, ინგლისის ბურჟუაზია დაარწმუნა თითქო მესამე დუმას ბიუჯეტის კანტროლი სავსებით ხელთ უპყრია. და ამას ჩადიან ვიბორგის მოწოდების ინიციატორები? რა მიზანი აქვთ? ის, რომ მილიუკოვის და მისი პარტიის პატრიოტობაში კვლავ იჭვი არავინ შეიტანოს. ახლა გვიბრძანეთ, რა დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ კავკასიის ერობის საკითხში იმ ხალხის, რომელიც ასეთ წაჯექ-უკუჯექობის ტაქტიკას აწარმოებს, რომ მთავრობის გული მოიგოს და დაბოლოსაც კეთილსაიმედობის მოწმობა მიიღოს. რას იზამს პოლონეთის კოლო? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რას აღუთქვამს მას მთავრობა. საკმაოა მას ანიშნონ მხოლოდ: ცოტა რამეს თქვენ ერობას მოუმატებთო, რომ მათ კავკასიის ერობას გადააფურთხონ. ასეთები არიან პოლონეთის დღევანდელი წარმომადგენელნი.

ასეთი ხალხის ხელში უნდა გაიაროს კავკასიის ერობის საქმემ, რომ, ვინიცობაა, მთავრობამ კანონ-პროექტი შემოიტანოს სახელმწიფო დუმაში. ეს ცხადათ ამტკიცებს ათასჯერ დამტკიცებულ აზრს, რომ მესამე დუმა და ბიუროკ. ხალხს სახეიროს არას მისცემს.

ქ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება)

გასატეხათ და დემოკრატიული მიზნების მისაღწევათ, რაიც ორივეს ესაჭიროება, საჭირო თანხმობა ვერ მოახდინონ ერთმანეთთან და საჭიროების დროს შეთანხმებულათ ვერ იმოქმედონ!.. აი, რას ლაპარაკობს მენშევიზმის მხცოვანი წარმომადგენელი გ. პლეხანოვი პოლიტიკურათ დამონებულ ქვეყნებში ბურჟუაზიის და პროლეტარიატის როლზე თავის შესანიშნავ ბროშიურაში: „ტაქტიკა თუ უტაქტიკობა“-ში: „მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატს შორის დიდი კლასობრივი წინააღმდეგობაა, იმ ქვეყნებში (ამ ჟამათ რუსეთი აქვს მხედველობაში), სადაც ეს კლასები ორივე თანაბრათ არის პოლიტიკურათ დამონებული, მათი ინტერესები ერთდებიან დროებით და აქ პროლეტარიატს და ბურჟუაზიას კონსტიტუციის მოსაპოვებლათ ხელი-ხელ ჩაკიდებული შეუძლიათ იარონ“.. ამავე საგანზე კ. კაუცკი ურჩევს რუსეთის პროლეტარიატს, რომ მან მისი რევოლიუციონური ტაქტიკა ააშენოს გლეხ-კაცობასთან ეკონომიურ ინტერესების ერთიანობაზე მიმდინარე რევოლიუციაში და ლიბერალებთან და ბურჟუაზიასთან საქმე დაიჭიროს იმ კითხვებში, რომლებიც მის კავშირს გლეხკაცობასთან არ ავნებს... ამას ჩვენც სრულიათ ვეთანხმებით... პროლეტარული დუმის ს.-დემოკრატიული ფრაქცია სწორეთ ასე იქცევა.

პირველი და მძლავრი დამარცხება განმათ. მოძრაობამ, როგორც ვიცით 1905 წელს განიცადა. ამ დროს პროლეტარიატმა პირველათ იგრძნო თავი პოლიტიკურათ განმარტოებულათ და სასტიკათ დაჭრილი კვლავ შეუდგა თავის კლასობრივ ორგანიზაციების განვითარებას და გონებრივ-ზნეობრივ ასამაღლებლათ სხვა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების მოწყობას. ბურჟუაზიაც (დანაწილდა) ნელ-ნელა გამოერკვა ბურუსიდან. ის ისევ მარცხნით დაექანა და დღეს „საყვედურებთან“ ერთათ „მუქარასაც“ კი უთვლის ბიუროკრატიას. და აი, სწორეთ ეს „საყვედურები“ თუ „მუქარები“ მაჩვენებელია იმის, რომ ბურჟუაზია ჯერ არ მომკვდარა პოლიტიკურათ, როგორც ამას წარა-მარა გაჰკივიან ბ—კები. პირიქით, ის დღეს იქნება თუ ხვალ, კვლავ აღიმაღლებს ხმას და ეს ხმის „ამაღლება“ მოუვა მას არა პროლეტარიატის გამხნევებით, არც თუ ვისმეს წაქეზებით ან გინებით — შენ პოლიტიკურათ გახრწნილი ხარო, არამედ ეს იქნება საკუთარი ბუნებრივი ბურჟუაზიული ხმა და მისი ძალაც ამაშია. მაშ ასე: თუ ამდენხანს ბურჟუაზია მიჰყვებოდა პროლეტარიატს, ეხლა პროლეტარიატის „რიგია“, ეხლა ის უნდა გაჰყვეს მას — დაცინვის კილოთი შემოგვეპარაკება ბ—კი! ჯერ ერთი, რომ ბურჟუაზია არც არსათ და არც რუსეთში არ გაყოლია პროლეტარიატს, პირიქით, როცა მან დაინახა, რომ პროლეტარიატი რადიკალურ სოც.-პოლიტიკური შინაარსის მოთხოვნილებას აყენებს, თავი დაანება ბრძოლას და რეაქციას შეაფარა თავი...

მუშათა კლასი კი, თუ სხვა რევოლიუციების დროს პოლიტიკურათ მოუმწიფებლობის გამო კუდში მიჰყვებოდა რევოლიუციონურ ბურჟუაზიას და მით „ზარბაზნის ხორცათ“ ხდებოდა, რუსეთში ამის მსგავსი არაფერი მომხდარა და არც კვლავ მოხდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ პროლეტარიატში კლასობრივი — სოციალისტური შეგნება ერთობ დიდია... მუშათა კლასი აქ არც ძველ რეჟიმს და არც ბურჟუაზიას არაფერს დაუთმობს, ის თანაბრათ ებრძვის ორივეს თავის უმთავრესი მიზნის სოციალიზმის მისაღწევათ. მაგრამ, რახან პოლიტიკური უფლებების მოპოვება ამ მიზნის საშვალებაა პროლეტარიატის „პროგრამმა-მაქსიმუმის“ განსახორციელებლათ, საყოველთაო თანასწორობის შემოსაღებათ და რახან იგივე პოლიტიკური მიზანი ამოძრავებს რუსეთის ბურჟუაზიასაც, თუმცა თავისი საკუთარი ბურჟუაზიული კერძო საკუთრების განსამტკიცებლათ, აი ამიტომ ამ ბურჟუაზიის ბრძოლის გარეშე დაყენება შეუძლებლობასთან ერთათ უგუნურობაც იქნებოდა, როგორც ამას ქადაგებენ ბ—ბი...

და მართლაც, ვინ არ იცის, რომ თუ პოლიტიკურ—მოქალაქობრივი უფლებანი არ იქმნა აღიარებული, ვერც ბურჟუაზია განავითარებს თავის სამეწარმეო ძალებს და ვერც პროლეტარიატი შესძლებს თავის კლასობრივ და პროფესიონალური ინტერესების დაცვას. ამიტომ ეს ორი ახალი კლასი, რომლებიც აღმოცენდენ რუსეთში ძველი ბატონყმური ურთიერთობის ნანგრევებზე, კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით, იძულებულნი არიან თავ თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მიზნების მისაღწევათ იმავე ბატონ-ყმურ წყობილების პოლიტიკური ნაშთების წინააღმდეგ იბრძოლონ. განსხვავება ამ ორ კლასთა შორის ის არის, რომ პროლეტარიატი მომხრეა რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების და ამისთვის თხოულობს სრულს დემოკრატიულ კონსტიტუციას. ბურჟუაზია კი არც არის ისე საკმაოთ მომწიფებული, რომ სავსებით საკუთარ ფეხზე დადგეს და მეორეც, მას შიშის ზარს სცემს „წითელი აჩრდილი“ ამიტომ ის გამოდის ზომიერ-კონსტიტუციონურ მანარქიის მომხრეთ...

გლეხკაცობის და წვრილ ბურჟუაზიის ინტერესები სრულიათ ეთანახმება დღეს პროლეტარიატის მინიმალურ ინტერესებს, მაგრამ ამ კლასებს „საკუთარი თავი არ აბიათ“ განსაზღვრულ „იდეალების“ უქონლობის გამო, ამიტომ მათ ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, მათ შეუძლიათ დიდი დამხმარე როლი ითამაშონ, ბრძოლა ჯერ არ გათავებულა.

დეპუტატ კ. ჩხეიძის სიტყვის არ იყოს, „ის ჯერ კიდევ წინაა“.

ამიტომ საჭიროა სწორი ტაქტიკა!

და ეს ტაქტიკაც სწორეთ ის არის, რომელიც აღიარა კ. კაუცკიმ, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ და ეხლა მოვიყვანოთ: რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური ტაქტიკა უნდა იქნეს აშენებული გლეხკაცობასთან ეკონომიურ ინტერესების ერთიანობაზე მიმდინარე რევოლიუციაში და ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დაიჭიროს საქმე იმ კითხვებში, რომლებიც არ ავნებს ამ გლეხობასთან კავშირს“...

**უმუშევრათ დარჩენილი.**

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** რუსის საზოგადოების მუშებს მიუღიათ როსტოვიდან არტელის სტაროსტისაგან მოწოდება, რომ ახლო მომავალში არტელების სიეზდი გაიმართება და თუ სასურველათ დაინახავთ, გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელიო. არტელმა ამ კითხვის გასარჩევათ აარჩია კომისია, რომელმაც ხეარიანათ უნდა შეისწავლოს კითხვა და წარუდგინოს არტელს. არტელი სიხარულით მიეგებება არტელთა წარმომადგენლების სიეზდის მოწვევას.

— 5 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე ორი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი შევარდენ დუქანში ხუციშვილს, რომლის დუქანი იმყოფება ნახუტურის ეკლესიასთან და ძალდატანებით გამოუტაციათ 20 მან. ფული და სხვა წვრილმანი ნივთები, რის შემდეგ გაქცეულან. 6 აგვისტოს დილით ეს უცნობებიათ პოლიციისთვის, რომელმაც შეკრიბა ნახუტურის მცხოვრებნი და მოსთხოვა მიიღონ ზომები ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენათ. მცხოვრებლებმა გამართეს თათბირი, აარჩიეს კომისია და შეუდგენ გამოძიებას.

— ს. ხორგიდან იტყობინებიან, რომ იქ კგორას, 2 აგვისტოს, დატრიალებულა შემდეგი დრამა: ხორგის გლეხი ტარასი ჯგუბურია, კარგი ხანია, შეპყრობილი ყოფილა შლეგით. ამასთან, ის ყოფილა მრავალ-რიცხოვან ოჯახის პატრონი და უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა. ამ ბოლო ხანებში ის სასოწარკვეთილებას მისცემია და კგორას წასულა სახლიდან მდინარე „ხობის წყალზე“, თან თოკი წაუღია. თოკი მიუბამს მდინარეს ნაპირად ხეზე, მეორე თავით მოუბამს ფეხზე, შემდეგ პატარა თოკით ყელზე დიდი ჩამოუკიდია და გადავარდნილა წყალში და დამხრჩვალა. კგორასვე სოფლელებს უნახავთ დამხრჩვალი ჯგუბურიას გვამი.

— აქაურ მუშებში მუდამ არის თითო-ოროლა ზნეობრივი მახინჯი, ლოთი, მოთამაშე და სხვა. თუ რა მაზარალებელია მუშებისთვის ასეთი ხალხი, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს თითო-ოროლა „მახინჯი“ არტელების ოჯახში რევს საქმეს, აყენებს რეაქციონურ მოთხოვნებს და აფერხებს არტელის წინსვლელობას. ამისანა „მახინჯები“, „რეაქციონერ-ანარქისტები“ როგორც რუსის არტელში, ისე როსიისაში მოიპოვებიან. მათთან ბრძოლას არტელების უმრავლესობა ბევრ დროს ანდომებს, მაგრამ მათი გასწორება შეუძლებელია, ვინაიდან „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“. 5 6 აგვისტოს ერთი ამისთანა მახინჯი, როსიის მუშამ სამსონ წვერავამ შევიდა მუშების სასადილოში და მოითხოვა 6 ბოთლი ღვინო, რაზედაც მას უარი უთხრეს. აქ ამდენს ვერ დაგალევინებთო. გალოთებამ წვერავამ იუკადრისა ეს და მუშებისვე სასადილოში მიდეწ-მოდეწა ყველაფერი. ხმაურობაზე მოვიდა პოლიცია, მაგრამ წვერავა არ დამშვიდდა, პირიქით, წაეხვია პოლიციელს. წვერავა დააპატიმრეს. ბევრი (მუშები) ამტკიცებენ, რომ ბ-ნი წვერავა მიკიტნების მოსყიდული იყო და იმიტომ გააკეთა ეს „პროვოკაცია“, რომ სასადილო დახურონ და შემდეგ მიკიტნებს თავისუფლათ შეეძლოთ მუშებისთვის ტყავის ძრობაო.

— არა ერთხელ აღგვინიშნავს აქაური სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის უმოქმედობა. მთელი წლის განმავლობაში მათ არაფერი გაუკეთებიათ. მოინდომეს დიდი საქმები, ლექციების კითხვა და ვერც პატარა გააკეთეს, არც ლექციები და ვერც საკვირაო სკოლები. ამ ბოლოს თვით მუშებმა უკარნახეს მათ, რომ რამდენათ შესაძლებელია — წერა-კითხვა მაინც ასწავლონ მუშებს. მუშები ბლომათ ეწერებიან წევრებათ და ახლო მომავალში ან სულ გამოცვლიან გამგეობას, ან ამოქმედებენ მას.

— რუსეთის საზოგადოების მუშებმა 10 მან. დახმარება მისცეს ერთობლივ მოწაფეს, რომელმაც 7 აგვისტოს ითხოვნია შემწეობა მათ.

## ღია წერილი

**გურიის ჯვარცხმისა და ბასილეთის სასოფლო საზოგადოებას.**

თქვენ მისაყვედურებთ, ვითომ მე ჩემი დაპირება შემეცვალოს რეალური სასწავლებლის დასაარსებელი ფულის გაწერის შესახებ. ამიტომ საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ შემდეგი: მართალია, პირადათ ჩემი აზრი იყო, რომ ფული კომლზე 5 მანეთი, გაწერილიყო 1886 წლის კამერალური აწერილობის მიხედვით, მარა ეს ჩემი აზრი არ მოიწონეს გურიის ყველა საზოგადოებათაგან არჩეულმა წარმომადგენლებმა, რომელთა რიცხვში თქვენი რწმუნებულებიც არიან, და საუმჯობესოთ და სამართლიანათ სცნეს, რომ ფული გაწერილიყო 1908 წლის აწერილობის მიხედვით. ასე გადაწყვიტეს მთელი ხალხის მიერ არჩეულმა საუკეთესო პირებმა და მეც მათ დავეთანხმე, რადგან სოფლისა და მისი საჭიროების ამბავი მათ უფრო შეგნებული და გათვალისწინებული აქვთ. რწმუნებულებს რომ ასეთი დადგენილების მიღების უფლება აქვთ, ეს თქვენ მიერ ხელმოწერილი „პრიგოვორიდან“ ჩანს, სადაც ნათქვამია: რასაც ჩვენი წარმომადგენლნი ხმის უმეტესობით გადაწყვიტენ, ეს ჩვენთვის სავალდებულოაო“.

გთხოვთ ნდობით მოეპყრათ მთელი გურიის მიერ არჩეულ 50 კაცის მოქმედებას, როგორც თქვენი გასაჭირ-დასალხინის მცოდნეებისას, და ყური არ ათხოვოთ იმ ზოგიერთ ცრუ ჭირისუფლებს, რომელთაც სურთ საშვილის-შვილო, სასიქადულო საქმის ჩაფუშვა და რომლებიც თავისი მოქმედებით სიბნელესა და უვიცობას თესავენ ხალხში. უნდა გახსოვდეს, რომ საქმის ჩაფუშვა უფრო ადვილი საქმეა, ვინემ გაკეთება და ჩვენც ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს საჭირო და სასარგებლო საქმე არ ჩაგვეფუშოს, თორემ მერე თითზე კბენა და სინანული გვიან-ღა იქნება.

დასასრულ გთხოვთ თქვენივე წარმომადგენლებისაგან გაიგოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თვითვე თქვენვე ასწონოთ მისი სიავ-კარგე.

ოზურგეთის ქალაქის თავი
**ბებურ ბებურიშვილი.**

## კორესპონდენცია

### იმერეთი

**ს. ჭაგანი.** რამდენიმე წლის წინათ ს. ჭაგანის თავად-აზნაურებმა განიზრახეს, ამხანაგური დახმარებით დაემუშავებიათ თავიანთი ადგილ მამული. ჯერ ეს ამხანაგობა გამოიხატებოდა მეზობლურ დახმარებაში: ამ „ხუმრობა-მუშაობას“ მოჰყვა, რამოდენიმე გავლენიანი პირის დახმარებით, წესდების შედგენა და მისი მთავრობის მიერ დამტკიცება. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. გაჩნდა რამოდენიმე მხრიდან დახმარება, ამხანაგობამ შეიძინა სამუშაო იარაღები — მანქანები საუკეთესო ფირმების, შენობა, ცხენები, ხარები და სხვა. ყველა წევრი დიდის სიხარულით ეგებებოდა ამ ფრიად საიმედო საქმეს.

გავიდა დრო და როგორც საზოგადოთ, ქართულ საზოგადო საქმეს სჩვევია, ამხანაგობა ნელ-ნელა დაიშალა და ბოლოს სულ გაქრა. ამის მიზეზი მრავალი იყო. მემკვიდრეებს დარჩათ რამოდენიმე გუთანი, სათესი, საფშვენი, ჩალის საჭერი და სხ. მანქანები და ერთ სართულიანი სამ თვალი სახლი.

ამ კავშირის დარღვევა არც ერთ მის წევრს არ აქვს სასიამოვნოთ; იმ ვალს, დაახლოვებით ხუთასი მან., რომელიც ჭაგნის ამხანაგობამ აიღო თფილისის სამეურნეო ბანკიდან, მხოლოდ მე მახდევინებს ბანკი, როგორც ვექსილის მიმცემს „მშრომელთა კავშირის“ მაგივრათ. მით უმეტეს სამძიმო არის ამ ვალის გადახდა ახლა ჩემთვის, რადგანაც მარიამობისთვის დამლევს ვფიქრობდი რუსეთში კბილის ექიმობაზე სახელმწიფო ეგზამენის დასაჭერათ წასვლას და იმას ვცდილობდი, რომ მუშაობით ან სესხებით მეშოვა სამგზავრო ფული. თებერვალში ვერ წავედი ეგზამენზე, რადგანაც არ მქონდა საშუალება, ახლაც ხელი მეშლება, რადგანაც 17 აგვისტოს ყველაფერი საჯარო ვაჭრობით უნდა გამიყიდონ. როდესაც მეზობლებს ამ შემთხვევაში დახმარება ვსთხოვე, რამოდენიმე გულშემატკივარმა მეზობლებმა სიტყვით თანაგრძნობა გამომიცხადეს. ბბ. ქაჯაიებო! კარგათ იცით თქვენ, რომ რამოდენიმე ხანია მოხუცებული დედა, ავათმყოფი მეუღლე და ძუძუ მწოვარი ბავშვები რჩებოდენ უმეტეს ნაწილათ ბალახით, ხილით და იმ ორი ძროხის რძით, რომლებიც ახლა საერთო ვალში უნდა გაიყიდოს. იმედი მქონდა, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ შემეძლება ოჯახში ცხოვრება და ჭირში და ლხინში ჩემიანებთან დროს გატარება. ახლა ჩემ თავს არ დავეძებ, მაგრამ არ ვიცი, ოჯახი რით ვანუგეშო. განა საკადრისია ასე კაცის დაჩაგვრა და აბუჩათ აგდება? რას გეუბნებათ სვინდისი.

**პარმენ ჯაჯაია.**

## წერილი რედაქციის მიმართ

რადგანაც ყოფილ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში დაიკარგა გასო თაქთაქიშვილის კარგა მოზრდილი ორი რვეული (პირველი შეიცავდა 157 გვერდს, მეორე 116 გვერდს), რომელშიაც იყო მოქცეული რამდენიმე დიდი პოემა და მრავალი წვრილი ლექსები, ამიტომ მივმართავ მის ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს, რომელთაც იციან და ან ახსოვთ გასო თაქთაქიშვილის ნაწერები ან სათაურები ან შინაარსი და ან მიმართულებანი, ნუ დაიზარებენ და ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ ან წერილობით და ან სიტყვიერათ, რითაც ძლიერ დაგვავალებენ. ჩვენ გვეშინია ეს იმიტომ, რომ იმ რვეულების ისე უბრალოთ დაკარგვა გვაეჭვებს. გვაეჭვება მით უმეტეს, რომ რედაქციაში წიგნის უცოდინარნი არ იყვნენ. ადვილი შესაძლებელია ვინმე ხელბედნიერმა აიღო და შეინახა იმ ფიქრით, რომ შემდეგში თავისი სახელით მოინათლოს და ასე, გაავრცელოს საზოგადოებაში.

ჩვენ ამას უფრო ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გასო თაქთაქიშვილი არ იყო საკმაოთ ცნობილი, მისი მხოლოდ რამდენიმე ლექსი დაისტამბა გაზეთ „ივერიაში“ შემდეგის ინიციალით გ. თ—შვილი.

შეიძლება იფიქრა იმ რვეულის ამღებმა, რას გამომედაგება, ვინ რა ეცოდინება, რომ ჩემი სახელით მოვნათლო და თანაც იმედოვნობს, ვინ იცის ვინ არის ამ ლექსების და პოემების დამწერი და სხვა. ყველა ამის მიხედვით და უფრო იმით, რომ საბრალო გასო უდროვოთ და უსამართლოთ იქნა მოკლული ნაძალადევში (მკვლელობა კერძო შემთხვევით მოხდა). ჩვენ განვიძრახეთ შევაგროვოთ, რაც კი შესაძლებელია მისი დარჩენილი დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ნაწერები და ცალკე წიგნათ გამოვცეთ ან რომელსამე გაზეთში დავსტამბოთ, რომ ხელი შევუშალოთ პლაგიატორს თავისი ბოროტი განძრახვის სისრულეში მოყვანა და მეორეც, გავცნოთ მკითხველ საზოგადოებას, ვინ იყო მუშა გასო თაქთაქიშვილი და რა ღირსება-მნიშვნელობის ეკუთვნის მისი ნაწერები.

ადრესი: ნაძალადევი, სუხიანის ქ. № 10.

**ნიკო თაქთაქიშვილი** *).

P. S. ვსთხოვ ადგილობრივ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ. **ნ. თ.**

—

გაზ. „დროების“ 170 №-ში მოთავსებულია წერილი ბედაგორიდან ბ-ნ „რისხვასა“, რომელიც, სხვათა შორის, მე მიწოდებს გაუკებრს. რაში გამოიხატებოდა ჩემი გაუგებრობა?

საქმე ასე იყო: მე შემხვდა ბედაგორის სადგურზე მღვდელი ალ. არევაძე და მკითხა: ხომ არაფერი წაგიკითხავს გაზეთებში ჩემი ცოლი ძმის ივ. გონგაძის შესახებო? მე ვუთხარი: გაზეთ „ჩანგში“, 18 №-ში სწერია, რომ იგი სასამართლოს გაუმართლებიამეთქი. მღვდელმა მაშინვე მოიწადინა გაზეთის გადათვალიერება. ჩვენ ორივემ მოვიკითხეთ ადგილობრივ ბუფეტში გაზეთი „ჩანგი“. ამ გაზეთის ხსენებამ ერთ იქ მყოფ უმაწვილ კაცს ბრაზი მოგვარა და წამოიძახა: „რას ჰქვიან „ჩანგი?!“ აი, „დროება“ და წაიკითხეთ“. მე განვუმარტე, რომ „ჩანგი“ ჰქვიან ერთ-ერთ შემარცხენე გაზეთს და ნუ თუ ამ გაზეთს ბედაგორში არავინ იწერს, რომ ამ კაცმა (მღვდელმა) თავისი სასურველი ცნობა ამოიკითხოსმეთქი? საქმე ასე გახლდათ და ბ-ნ „რისხვას“ კი ისე მოლანდებია, ვითომ მე პარტიული მიზნით მოვიკითხო ხსენებული გაზეთი, რასაც ის ასე უზომოთ ადუშფოთებია! კარგს იზამდა ბ-ნი რისხვა, რომ უმალ თავის თავს უწამლებდეს და საქმის სინამდვილეს შეიტყობდეს და ისე მიწერდეს წერილს რედაქციას, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს!

**აფრასიონ ებანოიძე.**

*) იბეჭდება ავტორის შესწორებით. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910 ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

## განცხადებანი


# სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—20

კომერციულ სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება

# მე 2-რე 8 კლ. კომერციული სასწავლებელი

გაიხსნება ამა წლის 1 სექტემბრიდან. თხოვნები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდა — 31 აგვისტოს. გამოუცდელათ მიიღებიან პირველ კლასში ატესტატის კონკურსით პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, მე-IV კლასში კი, ისინი, ვისაც დაუსრულებია 4 კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. სწავლის ფასი წლიურათ 80 მან. დროებით ადრესი: **ფუმანოვის ქუჩა № 13, ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლა.** (1—მ.—1)